



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49230553

თარიღი:24/02/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 24**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



## ა ნ გ ა რ ი შ ი

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია სათანადო მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტი და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2022 წელს ჩაატარა 15 სხდომა, სადაც განხილული იქნა 40 საკითხი. კერძოდ,

#### **27 იანვარი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

#### **24 თებერვალი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ.

#### **23 მარტი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2021 წლის მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **20 აპრილი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

#### **29 აპრილი:**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **27 მაისი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

#### **24 ივნისი:**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **28 ივლისი:**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის I-II კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

#### **25 აგვისტო:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **29 სექტემბერი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წლის მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **21 ნოემბერი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის I-II-III კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

## **25 ნოემბერი:**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## **5 დეკემბერი:**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## **23 დეკემბერი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
12. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
13. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
14. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

## **26 დეკემბერი:**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები, კომისიის დასკვნები და ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები, გატანილ იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.